

დავით წერედიანი

მილოცვის მაგივრად მეგობარს

სიტყვა ემზარ კვიტაიშვილზე, წარმოთქმული მწერალთა სახლში გამართულ საიუბილეო საღამოზე

საჯარო გამოსვლები სულ ბოლო ხანებში, შეიძლება ითქვას, იძულებით დამაწყებინეს, უწინ ერთი შემთხვევაც არ მქონია. ამ ასაკში კი როგორღა გინდა მიეჩვიო! ამიტომაც, შესაძლებელი კონფუზის თავიდან ასაცილებლად,ორიოდე გვერდი დავწერე და წავიკითხავ,თავს დანამდვილებით არ შეგაწყენთ.

ალბათ,ყველაზე მართებული იქნება,დავიწყო იმის აღნიშვნით,რომ ემზარი ჩემი სკოლისდროინდელი მეგობარია და ეს მეგობრობა დღემდე უხინჯოდ გრძელდება, თუმცა ჩვენი ხასიათების ზოგიერთი თვისება ამ მეგობრობას თითქოს პირწმინდად უნდა გამორიცხავდეს.

ერთ სკოლაში ვსწავლობდით, ოღონდ თანაკლასელები არ ვყოფილვართ, ერთი წლით წინ იყო. ასეთ შემთხვევაში ახლო მეგობრობა საკმაოდ იშვიათია, მაგრამ, გასაგებია, პოეზიამ დაგვამეგობრა, ორივენი ლექსებს ვწერდით.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეშიც ერთად დავდიოდით, სადაც ჩვენს, თუ შეიძლება ასე ეწოდოს, „პოეტურ აღზრდას“ ჩვენი უსაყვარლესი ადამიანი, ქეთევან ანანიაშვილი განაგებდა.

ვინც იცის,იმ ეპოქაში აღზრდაც და ლიტერატურაც რა პოლიტიკური წნეხის ქვეშ იყო,ძნელად თუ წარმოიდგენს,რომ სრულიად სხვა სამყაროში,ნამდვილ ოაზისში მოვხვდით,სადაც ჩვენი გემოვნების ჩამოყალიბებაზე სოცრეალიზმის ყბადაღებულ მეთოდებს არავითარი გავლენა არ ჰქონია.

მრავალი და მრავალი შემდგომში დიდად ცნობილი შემოქმედი ამ ოაზისიდან გამოვიდა. მწერალთა კავშირის ერთ-ერთი მესვეური გაღიზიანებული ამბობდა, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლიდან ქეთევან ანანიაშვილი ჩამოყალიბებულ სიმბოლისტებს გვიგზავნისო. ცხადია, ეს მხოლოდ ცილისწამება იყო, სიმბოლიზმთან არავითარი კავშირი არ გვქონია, მაგრამ თავისი საქმნელი გააკეთეს, ქეთევან ანანიაშვილი თავის საყვარელ საქმეს პოლიტიკური ბრალდებით ჩამოაშორეს.

მაგრამ ამგვარ მოგონებებს აღარ გავყვები, მეტისმეტად შორს წამიყვანს.

ემზარ კვიტაიშვილი იქიდან მოკიდებული უხვად გვაწვდის თავის მაღალნიჭიერი შემოქმედების ხვავრიელ ნაყოფს. ლექსების გარდა, ფრიად და ფრიად საინტერესოა მისი ესეისტურ-მემუარული ჩანაწერები, აქვს მნიშვნელოვანი გამოკვლევები ვაჟაზე და აკაკიზე, უამრავი კრიტიკული სტატია. თარგმანებიდან კი თუნდაც არისტოფანესა და შექსპირის პიესები რად ღირს!

მაგრამ უმთავრესი მაინც ლექსებია. მათ იგი შეუფერხებლად,ყოველგვარი კრიზისებისა და ყოვნების გარეშე ქმნიდა მთელი ამ ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში, რაც უსათუოდ ქების ღირსია, მაგრამ მათი სიმრავლე ერთგვარად აბრკოლებს მისი პოეტური სახის მკვეთრად გამოხატვას.

ცოტა უფრო ვრცლად ვიტყვი, რასაც ვგულისხმობ.

ემზარ კვიტაიშვილის პოეზიას დაფასება თითქოს არ აკლია, მაგრამ ჩემი წარმოდგენით, მთლად ისეც არ არის დაფასებული, როგორც ეკუთვნის. ერთ-ერთი მიზეზი სიმრავლეა, თვალს ვერ გადააწვდენ. ყველაფერი თანაბრად კარგი კი რომელი ავტორის ხელიდან გამოსულა! ყოველთვის არსებობს რაღაც მეტნაკლებობა. სულ ვეხვეწებოდი, ერთი მკაცრად შედგენილი რჩეული გამოეცა, რომ მისი ძირითადი ღირსებანი კომპაქტურად და სრული ეფექტით წარმოჩენილიყო, მაგრამ ეს დღემდე ვერ მოხერხდა, თვალი მაინც სიმრავლისაკენ გაურბის, ისეთ რჩეულზე ოცნებობს, რომელიც, არც მეტი, არც ნაკლები, ათასი ლექსისაგან იქნება შემდგარი!

მეორე მომენტი, რაც მისი პოეტური სახის გამოკვეთას აგრეთვე ცოტათი აბრკოლებს, არის ის, რომ არც ერთ თაობას, უფრო სწორად, არც ერთი თაობის პოეტიკას არ ეკუთვნის. მას უფრო ჩვენს, მე-20 საუკუნის, სამოციანელებს მიაკუთვნებენ. მათთან მართლაც ზოგი რამ საერთო აქვს, მაგრამ ბოლომდე მათიც არ არის. აქ არ მინდა, ისე გამიგონ, თითქოს სამოციანელები ყველანი ერთმანეთს ჰგავდნენ. ცხადია, ეს ასე არ არის, მაგრამ არსებობს რაღაც უეჭველი საერთო, ზოგჯერ აშკარა და ზოგჯერ იდუმალი, რაც ემზარ კვიტაიშვილთან ნაკლებად იგრძნობა. ასაკითაც მათზე ცოტა უმცროსია.

იგი არც შემდგომ თაობას ეკუთვნის, როცა ვერლიბრის ბუმი დაიწყო, თუმცა ამ ფორმას ყოველთვის იყენებდა. მაგრამ მისეული ვერლიბრი არაფრით, არაფრით არა ჰგავს იმას, რა ვერლიბრის კითხვასაც ბოლო დროს მიგვაჩვიეს. ამ ერთობ თავისებური ვერლიბრით დაწერილი მისი რამდენიმე ვრცელი ლექსი ჩვენი პოეზიის ნამდვილ მიღწევად მესახება. არადა, ემზარ კვიტაიშვილის პოეტურ სახეს ვერლიბრის თაობას კიდევ უფრო ნაკლებად ესადაგება.

თავი რომ არ შეგაწყინოთ ჩვეული საქებარი სიტყვებით, მინდა ერთი პატარა ლექსი წაგიკითხოთ და მცირე კომენტარები მივადევნო. ნურავის ეგონება, რაღაც განსაკუთრებული შევარჩიე. ასეთი ლექსები ემზარს მრავალი აქვს, ხოლო რაც მე გამოვარჩიე, საკმაოდ უცნაური ფაქტურით იწყება:

შინდს იწვდიდა მწიფეს
დედაბერი ბექიდან,
თავისქალა მყიფე
თმის ღერებზე ეკიდა.

თითქმის ამაზრზენი სურათია, რომელსაც სილამაზეს მხოლოდ პოეტური ოსტატობა ანიჭებს. ეს დედაბერი მტრული თუ არა, სასტიკი თვალით მაინც არის დანახული. შემდეგი ორი სტრიქონი იმავე განწყობას მიჰყვება:

ამოდენა მთაზე,
მითხარ, როგორ აძვერი.

ისევ უხიაგად ნათქვამი – ეს „აძვერი“! მაგრამ შემდეგ ორ სტრიქონში თითქოს რაღაც დათბა, რაღაც სინანულის მაგვარი შემოვიდა. სურათი ლამის იგივეა, მაგრამ ლექსმა განსხვავებულად ვიბრირება დაიწყო.

გაფრინდები ასე,
თეთრი ბაბუაწვერა.

ამ სტრიქონებს კიდევ სხვა დანიშნულებაც აქვს, ეს დედაბერი ჩვენთვის თითქოს ცოტა ახლობელიც კი გახდა. ნათქვამი უკვე კეთილგანწყობილ იუმორად აღიქმება.

მესამე სტროფი სავსებით ნეიტრალურია, მეოთხეში კი სრული თანაგრძნობა და სიმპათიაა გაცხადებული, მაგრამ შინაარსეულ დონეზე ნაკლებად, უფრო რიტმისეული ლირიზმით:

და მიწყდება ფშვენა,
გითოვდა თუ გიწვიმდა...
ნინოწმინდა შენი,
შენი გიორგიწმინდა.

ფშვენის მიწყვეტა ამ ტოპონიმთა ფონზე აშკარად გვაკრთობს,რა არის ეს,სამუდამო განსვენება ხომ არა? ბოლო სტროფში კი სრული ინტიმი, იდუმალი ფეთქვა, უფრო შეჩქროლება. ალბათ, ტაძარში ვართ. ან იქნებ უკვე სადღაც მიღმა, სადღაც სულეთში ვიმყოფებით?

იქ საამოდ ბნელა,
ჩუმად, შენთვის ენთები.
მომიკითხე ყველა,
ვისაც გავახსენდები.

ეს სითბო და უთქმელი სინაზე მკაცრი დასაწყისის ფონზე კიდევ უფრო მეტად ზემოქმედებს. სირთულე და სიმარტივე. დაუძაბავობა, უბრალოება.

საერთო დასკვნა, ვფიქრობ, უთქმელადაც ნათელია: ამ პატარა უსათაუროს ყოვლად იშვიათი ძალა და მომხიბლაობა ახლავს. ამგვარი ლექსები კი ემზარ კვიტაიშვილს მრავალი და მრავალი აქვს. ახლა ნება მიბოძეთ, შთაბეჭდილების სისრულისათვის, ეს ლექსი ერთიანად, უკომენტაროდ წაგიკითხოთ:

შინდს იწვდიდა მწიფეს
დედაბერი ბექიდან,
თავისქალა მყიფე
თმის ღერებზე ეკიდა.

ამოდენა მთაზე,
მითხარ, როგორ აძვერი...
გაფრინდები ასე,
თეთრი ბაბუაწვერა.

ხვატი შუბზე გაგებს,
ტკივილსაც დაგიოკებს,
გადაივლი ჯაგებს
და გარეჯის ხრიოკებს.

და მიწყდება ფშვენა,
გითოვდა თუ გიწვიმდა...
ნინოწმინდა შენი,
შენი გიორგიწმინდა.

იქ საამოდ ბნელა,
ჩუმად შენთვის ენთები.
მომიკითხე ყველა,
ვისაც გავახსენდები.